ხელშეკრულება №48/22

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი 09 ივნისი, 2022 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სასწავლო ცენტრი (შემდგომში - სასწავლო ცენტრი; მის.: ქ. თბილისი, გმირი კურსანტების ქ. №4; საბანკო რეკვიზიტები - სახელმწიფო ხაზინა, კოდი - TRESGE22; ს/კ - 205421943), შემდგომში წოდებული **„შემსყიდველად“**, წარმოდგენილი სასწავლო ცენტრის უფროსის მოადგილის (დირექტორის მოადგილე) **მერაბ ლაფანაშვილის** სახით და **მიმწოდებელი - შპს „ბედი.ჯი”** (მის.: ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, ვარკეთილის დას., III მასივი, ზემო პლატო, კორპ. №10, ბინა №139; საბანკო რეკვიზიტები - ს/ს "თი ბი სი ბანკი"; ბანკის კოდი: TBCBGE22; ა/ა: GE29TB7714636070100002; ს/კ - 406114217; ტელ: (+995) 596807080; E-mail: info@bedi.ge) წარმოდგენილი მისი დირექტორის **რომეო კვანტალიანის** სახით,

ორივე ერთად აღიარებული, როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტება

1.1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, თანდართული ყველა დოკუმენტით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

1.1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.1.4. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.1.5. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში;

1.1.6. „საქონელი“ - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების დანართი №1-ით (ფასების ცხრილი) განსაზღვრული **დიქტოფონისა და დინამიკის შესყიდვა (CPV32332100; 32342412).**

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს - **635.00 (ექვსასოცდათხუთმეტი) ლარს;**

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს საქონლის ღირებულებას, წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს;

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

4.1.1 უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების დანართი №1-ით განსაზღვრული საქონლის მიწოდება **ხელშეკრულების გაფორმებიდან 25 (ოცდახუთი) კალენდარული დღის ვადაში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გმირი კურსანტების ქუჩა №4;**

4.1.2 გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი;

4.1.3 ხელი შეუწყოს შემსყიდველს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებაში, განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები, მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე და დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

4.1.4 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები;

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

4.2.1 აუნაზღაუროს მიმწოდებელს მიღებული საქონლის ღირებულება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში და ფორმით;

4.2.2 უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

4.2.3 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ხარისხი და გარანტია

5.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულების დანართი №1-ით განსაზღვრულ ტექნიკურ პირობებს;

5.2 საქონელზე ვრცელდება **1 (ერთი) წლიანი** გარანტია მიღება - ჩაბარების დღიდან;

5.3 საგარანტიო ვადის პერიოდში არა შემსყიდველის ბრალეულობით დაზიანების და დეფექტის მქონე საქონლის, მათ შორის საექსპლუატაციო თვისებების ვადაზე ადრე გაუარესების დაფიქსირების შემთხვევაში, შემსყიდველი მიმართავს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას გამოვლენილი წუნი (თუ ეს შესაძლებელია) ან ჩაანაცვლოს წუნდებული საქონელი ახლით შემსყიდველის მოთხოვნიდან **არაუმეტეს 10 (ათი) კალენდარული დღის** განმავლობაში.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი და საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შემსყიდველის მიერ მისაწოდებელი ან/და მიწოდებული საქონლის მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა და ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც საქონლის მიწოდების დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში;

6.2 ***ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს და საქონლის ტექნიკურ დათვალიერებას განახორციელებს სასწავლო ცენტრის ადმინისტრაციის (სამმართველო) ქონების მართვისა და ლოჯისტიკის ჯგუფის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორი (ჯგუფის უფროსი) მიშიკო მაისურაძე, ხოლო საქონლის მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმებას უზრუნველყოფს ამავე ჯგუფის შესაბამისი უფლებამოსილი პირი;***

6.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი. წუნდებული საქონლის აღმოჩენისას მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან **10 (ათი) დღის** ვადაში გამოასწოროს წუნი;

6.4 ობიექტური მიზეზით 6.3 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში წუნის გამოსწორების შეუძლებლობისა და შემსყიდველის მიერ საქონლის ღირებულების დროული ანგარიშსწორების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული საქონლის ღირებულება შემსყიდველის მიერ მითითებულ გონივრულ ვადაში;

6.5 შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი უხარისხო (წუნდებული), საქონლის თანმხლები აუცილებელი დოკუმენტაციის გარეშე ან დაგვიანებით მიწოდებული საქონლის ნაწილის ან მთლიანი მოცულობის მიღებაზე;

6.6 საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით;

6.7 **ამ მუხლის 6.2 პუნქტში მითითებული პირის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერით, საქონლის მიღებასთან ერთად დასტურდება ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განხორციელებაც;**

6.8 იმ შემთხვევაში, თუ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება შესაძლებელია განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს. აღნიშნული არ ჩაითვლება მიმწოდებლის მხრიდან ვადის გადაცილებად.

7. ანგარიშსწორება

7.1 **ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:**

7.1.1 ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

7.1.2 ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად;

7.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული საქონლის ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და თანმდევი დოკუმენტაციის (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა) გამოწერიდან/წარმოდგენიდან **10 (ათი) სამუშაო დღის** ვადაში, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიმართ გამოყენებული იქნება მე-9 მუხლით განსაზღვრული საჯარიმო სანქციები, მიმწოდებლის მიერ აღნიშნული საჯარიმო თანხის გადახდიდან **10 (ათი) სამუშაო დღის** ვადაში;

7.3 **დაფინანსების წყარო: 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.**

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში იმ ხელისშემშლელი გარემოებების გამოვლენისას, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, მხარეები დაუყოვნებლივ ატყობინებენ ერთმანეთს წერილობით შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღები მხარე ვალდებულია შეძლებისდაგვარად მოკლე დროში აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადების გადაცილების შემთხვევაში ან 6.3 პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევისას, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო, შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების **0.2%-ის** ოდენობით;

9.2 შემსყიდველი უფლებამოსილია, მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების ან ნაკისრ ვალდებულებებზე უარის თქმის შემთხვევაში, მიმწოდებელს დააკისროს ჯარიმა **ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით**;

9.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ დადასტურებული ხელმოწერით;

10.2 წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო, ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობის წარმოშობისას, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11. დავების გადაწყვეტა

11.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით;

11.2 თუ მოლაპარაკებით შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის გადაწყვეტას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების ნებისმიერ ეტაპზე ან/და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში, მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას და გამოიყენოს 9.2 პუნქტით გათვალისწინებული საჯარიმო სანქცია. აღნიშნულის შესახებ შემსყიდველი წერილობით აცნობებს მიმწოდებელს;

12.2 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი პასუხს არ აგებს ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად გამოწვეული ზიანისათვის, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა;

12.3 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე;

12.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისგან.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის **მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით.**

14. ფორს-მაჟორი

14.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით;

14.2 წინამდებარე ხელშეკრულებისთვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა;

14.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს წერილობით შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

15. სხვა პირობები

15.1 ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონულად ქართულ ენაზე, რომელიც მხარეების მიერ დადასტურებულია ელექტრონული კვალიფიციური ხელმოწერით/შტამპით.

16. ინტერესთა კონფლიქტი

16.1 „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

№	შესყიდვის ობიექტი (დასახელება)	ტექნიკური პირობები	CPV	განზ. ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	ჯამური ღირებულება (ლარი)
1	დიქტოფონი	ჩაშენებული მეხსიერების მოცულობა: არანაკლებ 4 GB ეკრანის ტიპი: LCD ფორმატის მხარდაჭერა: MP3 / HVXC ჩაწერის არხების რაოდენობა: 1 სიხშირის ამპლიტუდა არანაკლებ : 75 - 15000 ჰერცი ხმის ჩაწერის მაქს. ხანგრძლივობა: 30 სთ (მაღალი ხარისხი) / 65.10 სთ (დაბალი ხარისხი) ინტერფეისი 1 x USB დამატებითი მახასიათებლები ჩაშენებული მიკროფონი დინამიკების რაოდენობა: 1 ფონის ხმაურის შემცირება ბატარეა: Alkaline ბატარეის ტიპი: AAA ელემენტების რაოდენობა: 2 ბატარეის მუშაობის ხანგრძლივობა: 21 - 23 სთ ფიზიკური მახასიათებლებიწონა: არაუმეტეს -75 ჩინეთი SONY ICD-PX240	32332100	ცალი	1	230	230
2	დინამიკი	არანაკლებ TCL Sound Bar TS3010 Wireless; Subboofer 40W RMS; Speakers 20Wx2 RMS; HDMI ARC ; USB; Bluetooth (ver.5.0); 3.5mm AUX; Optical; TF Card; lenght 810mm მწ. ქვეყანა - ჩინეთი. ბრენდი TCL მოდელი TS3010	32342412	ცალი	1	280	280
3	დინამიკი	არანაკლებ FLIP 4 Portable Bluetooth Speaker black, არანაკლებ 2X10 watt ელემენტის ტევადობა 600 მაჰ. წონა არანაკლებ 800 გამი ჩინეთი ბრენდი JBL მოდელი Charge 3	32342412	ცალი	1	125	125
ჯამი:							**635.00**

შემსყიდველი:

საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სასწავლო ცენტრის უფროსის მოადგილე (დირექტორის მოადგილე)

მერაბ ლაფანაშვილი

მიმწოდებელი:

შპს „ბედი.ჯის“

დირექტორი

რომეო კვანტალიანი

(გამოყენებულია ელექტრონული კვალიფიციური ხელმოწერა/შტამპი)

Romeo Kvantaliani 29001005833

Digitally signed by Romeo Kvantaliani
Date: 2022.06.09 17:46:40